ფინანსური პროტოკოლი

საქართველოს (საქართველოს მთავრობა)

და

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას

შორის

საქართველოს მთავრობა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში მითითებული, როგორც "მხარეები"),

ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით,

ადასტურებენ რა თავიანთ მზადყოფნას ებრძოლონ საერთაშორისო კომერციულ ტრანსაქციებთან დაკავშირებულ კორუფციას,

შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე:

მუხლი 1 – ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა და მიზანი

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა საქართველოს მთავრობას გაუწიოს ფინანსური მხარდაჭერა მესტიის ხეობაში სათხილამურო საბაგიროების მოწყობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს საქართველოს განვითარებისთვის პრიორიტეტულ პროექტს.

აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა არაუმეტეს 18 700 000 ევროს (თვრამეტი მილიონ შვიდასი ათასი ევრო) ოდენობით განკუთვნილია ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების დასაფინანსებლად. კერძოდ გათვალისწინებულია:

- ფრანგული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა საფრანგეთში;
- ფინანსური მხარდაჭერის 20%-ის ფარგლებში თითოეული კონტრაქტისთვის გამონაკლისის სახით, ქართული ან უცხოური საქონლის და მომსახურების შესყიდვა, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი კონტრაქტების გაფორმება მოხდება ფრანგი მომწოდებლების პასუხისმგებლობის ქვეშ.

საფრანგეთის ხაზინის სესხზე და გრანტზე დამატებით, საქართველოს მთავრობა აუცილებლობის შემთხვევაში დააფინანსებს საინჟინრო სამუშაოებსა და სხვა მომსახურებას რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის სრულყოფილად განხორციელებისათვის.

მუხლი 2 – დაფინანსების შემადგენლობა

პირველ მუხლში აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა შედგება:

- საფრანგეთის ხაზინის გრანტისაგან, რომელიც არ აღემატება 700 000 ევროს (შვიდასი ათას ევროს) და განკუთვნილია მესტიის ხეობის ტურისტული განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებისა და საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებისათვის;

- საფრანგეთის ხაზინის სესხისაგან, არაუმეტეს 18 000 000 ევროს (თვრამეტი მილიონ ევროს) ოდენობით, რომელიც განკუთვნილია მესტიის ხეობის სათხილამურო საბაგირო აღჭურვილობის შესაძენად.

მუხლი 3 – პროექტის დაფინანსების ფორმები

პირველ მუხლში აღნიშნული პროექტის დაფინანსება მოხდება საფრანგეთის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი კონტრაქტის ფარგლებში თანხის საავანსო გადასახდელი შეადგენს კონტრაქტის ღირებულების 10%-დან 20%-მდე, ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების გარეშე.

მუხლი 4 – ფინანსური მხარდაჭერის პირობები და ფორმები

საფრანგეთის მთავრობის სესხის ხანგრძლივობაა 20 წელი, 6-წლიანი შეღავათიანი პერიოდის ჩათვლით. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1,1%-ს. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა მოხდება 28 თანაბარი და თანმიმდევრული ნახევარწლიური გადახდის სახით. პირველი ამგვარი გადახდა უნდა მოხდეს იმ კალენდარული კვარტლის დასრულებიდან 78 თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მოხდა თანხების ჩამორიცხვა. პროცენტი გამოითვლება სესხის ათვისებულ და დაუფარავ ნაწილზე, მისი დარიცხვა იწყება საფრანგეთის მთავრობის სესხის ყოველი ჩამორიცხვის თარიღიდან და გადაიხდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი თანხის ან საპროცენტო გადასახდელების გადახდის თარიღი საფრანგეთში არ არის სამუშაო დღე, გადახდა განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს. ძირითადი თანხის ან საპროცენტო გადასახდელების დანიშნულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვადაგადაცილებულ თანხებს გადახდის თარიღამდე დაერიცხება პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს საპროცენტო განაკვეთის დადგენა მოხდება Euro Over Night Index Average (EONIA) დამატებული 4%, თუმცა აღნიშნული პირგასამტეხლოს საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს წლიურ 5%-ზე ნაკლები. თუ პირგასამტეხლოს გადახდა არ მოხდება მთელი წლის განმავლობაში, პირგასამტეხლოს თავის მხრივ დაერიცხება ზემოხსენებული პროცენტი.

განხორციელების ხელშეკრულება გაფორმდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც მოქმედებს საქართველოს (საქართველოს მთავრობის) სახელით და NATIXIS-ს (ინსტიტუციური ღონისძიებების დირექცია) შორის, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს საფრანგეთის სახაზინო სესხის და გრანტის გამოყენების და გადახდის დეტალებს.

მუხლი 5 –გადახდის ვალუტა

წინამდებარე პროტოკოლის თანახმად ანგარიშსწორების და გადახდის ვალუტაა ევრო.

მუხლი 6 - კონტრაქტების რეგისტრაცია

წინამდებარე პროტოკოლის პრეამბულაში მხარეები გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას გააგრძელონ ბრძოლა საერთაშორისო კომერციულ ტრანსაქციებთან დაკავშირებული კორუფციის წინააღმდეგ. წინამდებარე პროტოკოლის ფარგლებში დარეგისტრირებულ კონტრაქტებში მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ შესთავაზონ ან მისცენ მესამე პირს, თხოვონ, დაეთანხმონ ან შეიპირონ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავიანთ ან სხვის სასარგებლოდ, ნებისმიერი შეუსაბამო სარგებელი, ფულადი ან სხვა სახის, რომელიც უკავშირდება ან შეიძლება დაუკავშირდეს არაკანონიერ ქმედებას ან კორუფციას.

პირველ მუხლში აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული კონტრაქტის რეგისტრაციის პირობებია:

- კონტრაქტის შესაბამისობა იმ რეკომენდაციებთან, რომლებიც განსაზღვრულია პროექტის წინასწარი შეფასებით;
- პროექტის შესაბამისობის შემოწმება სახელმწიფო მხარდაჭერით განხორციელებული ექსპორტის კრედიტების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ს მიერ დადგენილ წესებთან;
- საქართველოს მთავრობის საფრანგეთის სამთავრობათშორისო სესხების ფარგლებში ვადაგადაცილებული თანხების დავალიანების არ არსებობა;
- COFACE-ს მიერ გარანტირებული საბანკო კრედიტების ფარგლებში, რომელიც გაცემულია საქართველოს მთავრობისათვის ან საქართველოს სახელმწიფო სექტორისათვის, ან საქართველოს მთავრობის გარანტიებზე გადასახდელი თანხების შემოწმება, რომელიც არ იქნა გადახდილი საჭირო ვადებში.

გარდა ამისა, საფრანგეთის ხაზინის სესხით დაფინანსებული თითოეული კონტრაქტის რეგისტრაცია მოხდება საფრანგეთის ხაზინის გრანტით დაფინანსებული მესტიის ხეობის ტურისტული განვითარების ძირითადი გეგმის საფრანგეთის და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარი შეფასების შემდეგ. ამ მიზნით და პირველ მუხლში აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ შექმნან საზედამხედველო კომიტეტი, შემდგომში "კომიტეტი", რომლის შემადგენლობა და ფუნქციები განსაზღვრულია ამ პროტოკოლის დანართში. კომიტეტი განახორციელებს ზემოაღნიშნულ წინასწარ შეფასებას.

პირველ მუხლში აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, თითოეულ კონტრაქტთან მიმართებაში, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოები დაადასტურებენ წინამდებარე პირობების სათანადოდ შესრულებას, აღნიშნული კონტრაქტი დარეგისტრირდება ამ პროტოკოლის ფარგლებში, რაც მოხდება წერილების გაცვლის გზით საქართველოს სათანადო ორგანოებს და საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოების

უფლებამოსილებით მოქმედი, სამხრეთ კავკასიასა და თურქმენეთში ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელს (რომელიც მდებარეობს ბაქოში) შორის.

მუხლი 7 – ფინანსური მხარდაჭერის მოქმედების ვადა

პირველ მუხლში განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობისათვის, ფრანგ მომწოდებელსა და ქართველ მყიდველს შორის ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბრისა.

წინამდებარე პროტოკოლით განსაზღვრული საფრანგეთის ხაზინის მიერ გამოყოფილი გრანტის ან სესხის ფარგლებში თანხების გამოთხოვა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 8 – გადასახადები

საფრანგეთის ხაზინის ფინანსური მხარდაჭერის თანხებიდან არ დაფინანსდება არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი გადასახადები, იმპორტის/ექსპორტის გადასახადები, სავალდებულო მოსაკრებლები ან ადმინისტრაციული ხარჯები საქართველოში.

იმისათვის, რომ ამ პროტოკოლით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები სრულად მოხმარდეს საქართველოს განვითარებას, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პროტოკოლით დარეგისტრირებული კონტრაქტების ფარგლებში საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ფრანგული კომპანიის ტექნიკური დახმარების ჩათვლით, ასევე საქონლისა და მომსახურების იმპორტი/ექსპორტი, შესყიდვა, გამოყენება ან ფლობა, რომელიც ხელს შეუწყობს პროტოკოლით გათვალისწინებული ზემოხსენებული საქონლის და მომსახურების უზრუნველყოფას, თუ დაექვემდებარება საქართველოში რაიმე სახის საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების, იმპორტის/ექსპორტის გადასახადების ან საქართველოში სავალდებულო მოსაკრებლების გადახდას, მაშინ ასეთი საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების, იმპორტის/ექსპორტის გადასახადების ან მოსაკრებლების, მიუხედავად მათი შინაარსისა და ბუნებისა, გადახდა დაეკისრება ქართველ მყიდველს.

ამასთან, სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა და წინამდებარე პროტოკოლის დადებასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდა მოხდება საქართველოში არსებული ყოველგვარი გადასახადების გარეშე.

მუხლი 9 – პროექტის რეტროსპექტული შეფასება მისი დასრულების შემდეგ

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე პროექტის გავლენის რეტროსპექტული შეფასების მიზნით, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია თავისი ხარჯით განახორციელოს წინამდებარე პროტოკოლით გათვალისწინებული პროექტის ეკონომიკური,

ფინანსური და საბუღალტრო შეფასება მისი დასრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობას, სურვილისამებრ, შემდგომში განსაზღვრული ფორმის მიხედვით, შეუძლია აღნიშნული შეფასების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, რათა პირდაპირ ისარგებლოს შეფასების შედეგებით. საქართველოს მთავრობა თანახმაა მიიღოს საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად საქართველოში გამოგზავნილი მისია და ხელი შეუწყოს მას პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებაში.

მუხლი 10 – ძალაში შესვლა

წინამდებარე პროტოკოლი ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ ქართული მხარის მიერ ფრანგული მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების დღეს, რომლითაც ქართული მხარე შეატყობინებს ფრანგულ მხარეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით წინამდებარე პროტოკოლის ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურები შესრულებულია.

მუხლი 11 – ცვლილებები

წინამდებარე პროტოკოლში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით. ყოველი ამგვარი ცვლილება ძალაში შედის წინამდებარე პროტოკოლის მე-10 მუხლში აღნიშნული პროცედურების შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე პროტოკოლის განუყოფელ ნაწილს.

პროტოკოლი ხელმოწერილია შესაბამისი მთავრობების ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე წარმომადგენლების მიერ და დასმული აქვს შესაბამისი ბეჭედი.

ხელმოწერილია თბილისში 2011 წლის .....

ფრანგულ და ქართულ ენებზე 4 ორიგინალად, ორი ფრანგულ და ორი ქართულ ენაზე. შესრულებულ ტექსტებს გააჩნიათ თანაბარი ძალა.

საქართველოს (საქართველოს მთავრობის) სახელით	საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით